

უდეტრები თურქეთის საქართველოს ერთი ხეობის  
მკვიდრთა მეტყველებაში

ნათელა ფარტენაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის  
დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი,  
საქართველო, ბათუმი, ნინოშვილის ქ. 32/35  
+995 577 179 744. natia.phartenadze@bsu.edu.ge  
ORCID identifieris0000-0001-7919-8635

**აბსტრაქტი.**

ქართულ ისტორიოგრაფიაში კლარჯეთის ერთ-ერთი მხარე - „ნიგალი“ შეიძლება შეგვხვდეს სხვადასხვა სახელით, კერძოდ: ლიგანი, ლივანა, ნიგალი.

ნიგალი ისტორიულად ტაო-კლარჯეთის ერთ-ერთი კულტურულად და ეკონომიურად დაწინაურებული მხარე იყო. მეცხრე-მეათე საუკუნეებში აქ ყვაოდა ქართული კულტურა. ბერთის, ოპიზის, ხანძთის, შატბერდის, ფორთის, კორიდეთის საეკლესიო-სამონასტრო ცენტრებში იწერებოდა ორიგინალური ნაწარმოებები, უცხოური ენებიდან ითარგმნებოდა ლიტერატურა.

ლივანური მეტყველება მდიდარია კილოკავებით, თქმებითა და ქცევებით, რასაც კარგად ამჩნევენ თვით აქაური მცხოვრებნიც. საუბრის კილოთი გამოიცნობენ ხოლმე ქლასკურელებს, დევსქელებს, ხებელებს, მარადიდელებს, მურლულელებს.

ჩვენი კვლევს ობიექტს წარმოადგენს ნიგალის ხეობის მკვიდრთა მეტყველებაში უდეტრების ხმარებასთან დაკავშირებული თავისებურებების გამოკვეთა და ანალიზი.

ნიგალის ხეობის ქართულში საინტერესო ნიუანსები შეინიშნება უდეტრების გამოყენების შემთხვევებში.

ადგილის ზმნიზედის ფუნქციით გვხვდება -ში' თანდებულ-ლიანი პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელების მრავლობითი რიცხვის ფორმები: **ჩვენში; თქვენში..**

ადგილის ზმნიზედები ზემოთ', ქვემოთ' გვხვდება ფონეტიკური სახეცვლილებით: **ზომოთ; ქომოთ...**

ხშირად გამოიყენება საშუალო ქართულისთვის დამახასიათებელი შიგან' ზმნიზედის ფუნქციით: სახლში **შიგან** არ შევსულვართ...

აქ', იქ' ზმნიზედებს დაერთვის თანდებულები -ში და -ზე, რის საფუძველზეც მიიღება რთულფუძიანი ზმნიზედები: აქში', იქში', აგზე' (← აქზე), იგზე (← იქზე):

-ზე' თანდებულისა ადგილის ზმნიზედებმა აქ, იქ შეიძლება დაირთონ თანდებული -დამ: **აგზედამ, იქნამდი...**

ანალოგიურ მაგალითებში თავს იჩენს ორი ა: **აქნობამდი...** იქაურობაში' ფორმა შეცვლილია სიტყვით **იქნობაში'**.

-კე//კენ თანდებული ერთვის ზმნიზედების უჩვეულო ფორმებს: **წინესკე, ზეისკე, ზედეთკენ, შიგნითკე...**

ზმნიზედების გასართულებლად გამოყენებულია თანდებული -დამ': **ზეიდამ; იქიდამ...**

**კითხვითი ზმნიზედა** სად' გვხვდება ჰა'ს სახით (ს→ჰ, -დ იკარგება).

დროის ზმნიზედად ზოგჯერ გვხვდება სიტყვათა ოდენ ფუძე ან ფუძეთა გაორკვეების შემთხვევები: **ზაფხულ, მალ... ზაფხულ-ზაფხულ მალ-მალ; საღამ-საღამ...**

დროის ზმნიზედა მერმე' მეტათეზისის შედეგად სახეს იცვლის და წარმოდგება მემრე' ფორმით.

ზმნიზედები - გაისად', მერმის' ფორმებს ცვლის მიორეთ'//მიერეთ', მიერეზე' - დროის ზმნიზედის მნიშვნელობით...

დიდხანს' ზმნიზედას ენაცვლება ბარსახან (←ბარე სამ ხან).

ვითარების **ზმნიზედების** - ამოდ', ტყუილუბრალოდ' - შინაარსს გადმოსცემს არქაული სიტყვა **ცუდედ** (შდრ. ძვ. ქ. ცუდად' - ამოდ, უსარგებლოდ).

-**ებრ** თანდებულიან ვითარებითს ზმნიზედებში ფუძის ბოლოკიდური -**რ** იკარგება: **მათურებ...**

-**ვით** თანდებულიან ფორმებში - **ვით** სახეცვლილი წარმოგვიდგება: **ჩემსავენ, ჩვენსავენ, თქვენსავენ, მათსავენ** (ჩვენ-ს-ავით→ჩვენ-ს-ა-ვენ):

ვითარების ზმნიზედის შინაარსი ახლავს სიტყვას **აქსავენ'** //**აქსავეთ'**

კითხვით ზმნიზედას როგორ' ცვლის **რავლი'** ფორმა: **რავლი** ხარა? **რავლი** მოხუელით? **რავლი** ხართა ჩვენებურები?!...

ჯერობის გამომხატველი ზმნიზედების მაწარმოებელ ნაწილაკ ჯერ'-ს ცვლის სიტყვა პირი'. იგი რიცხვით სახელებს დაერთვის: **ორპირ, ერთპირ, ათპირ...**

ნიგალურ ქართულში თავისებური ელფერი შემოაქვს მდინარე მურღულის ხეობის კალთებზე გაშენებული სოფლების (კაბარჯეთი, ყავრიეთი, ჭილაგრი, ქურა, ჯუანი, ბუჯური, ბაშქოი, არხვა, კორიდეთი, ძანცული, გურბინი...) მეტყველებას. ეს შეინიშნება ზმნიზედათა წარმოებაშიც. კერძოდ: ერთად' ზმნიზედის ნაცვლად გამოიყენება **ერთხელაჲ'**.

ზმნიზედების სფეროში იშვითად წარმოჩნდება ხოლმე თურქულის გზით შემოსული ფორმები: **თექთუქ** (tek-tek), **ბაშთან** (baştan), **ბირზამან** (bir zaman), **ებბედი** (არაბ.ebedien) **ზაათი** (არაბ. zaten), **თექრარ** (არაბ. Tekrar), **ჰემენ** (სპარს. Hemen), **აზბიშეი** (az birşey)...

დიალექტური ელფერი დაჰკრავს **თანდებულებსაც**. კერძოდ, **-ვით** თანდებული გვაძლევს **-ვენ, -ვეთ, -ვეფ** ვარიანტებს: **თქვენსავეთ, ქვასავენ, ტურასავეფ...**

-**თვის** თანდებული წარმოდგენილია - **თვინ** // -**თინ** ვარიანტებით: **გოგოსთვინ, ბაქლავასთინ...**

-**კენ** თანდებული უმთავრესად **-კე** ფორმით გვხვდება: **თქვენკე, ბორჩხისკე** არი; **ხიდისკე** წესულან...

-**კე** გვხვდება ზმნიზედებთანაც: **უკნისკე, წინისკე...**

ნათესაობითის ფორმას დაერთვის ზმნიზედა უკან და გამოხატავს თანაობას, -თან' (ერთად) თანდებულის ფუნქციით წარმოდგება: **პურის უკან, ჭადის უკან, გურჯების უკან...**

არ გვხვდება -მდე' თანდებული. ნიგალის ქართულისთვის დამახასიათებელია -მდი' და -მდინ' ვარიანტები: **სოფლამდი, ქალაქამდინ...**

**კავშირი.** რომ' კავშირი უმეტესად გვხვდება **რომე'** ფორმით.

**მაგრამ'** გამარტივებულია **მარა'** ფორმით.

მაგრამ' მაპირისპირებელ კავშირს ხშირად ცვლის თურქულიდან შემოსული **ჰამა'**.

რომ' მაქვემდებარებელი კავშირის ნაცვლად გამოიყენება თურქულის გზით შემოსული სპარსული წარმოშობის კავშირი **ქი'**, რომელსაც მრავალნაირი ნიუანსი (კი - რომ, რომელი, რათა, ვინაიდან, ხოლო, განა) ახლავს.

**ნაწილაკი.** ნიგალის ხეობის ქართულში კითხვითი ნაწილაკის სიცოცხლისუნარიანობა განპირობებულია მახვილით. ა' კითხვით ნაწილაკზე მოდის ყოველთვის კითხვითი წინადადების მახვილი. შენ აქა **ხარა?**; ტანზე რასა **ვიცვამთა?!**; შენა ვისი გოგო **ხარა?...**

თურმე'-ს ცვლის თურქულის გზით შემოსული სპარსული ნაწილაკი **მეგერ'**.

თურქულიდან შემოსული **აჯაბ'** (არაბ. acap) გამოიყენება ნეტავი', ნუთუ', მართლა', განა' ნაწილაკების მნიშვნელობით.

**საკვანძო სიტყვები:** დიალექტი; უდეტრები; ზმნიზედა; თანდებული; კავშირი; ნაწილაკი.

**შესავალი.**

ქართულ ისტორიოგრაფიაში კლარჯეთის ერთ-ერთი მხარე - „**ნიგალი**“ შეიძლება შეგვხვდეს სხვადასხვა სახელით, კერძოდ: ლიგანი, ლივანა, ნიგალი.

მეთექვსმეტე საუკუნის ბოლოდან ოსმალურ წყაროებში „ნიგალის“ მაგივრად მკვიდრდება გეოგრაფიული სახელი „ლივანა“. დღეს ნიგალისხეველების შთამომავლებმა იციან მხოლოდ „ლივანა“, ძველი სახელი „ნიგალი||ლივანი“ აღარავის ახსოვს. საგულისხმოა, რომ ნიგალის ხევის დასაწყისში, იმერხევისა და ნიგალის ხევის საზღვართან, არის სოფელი „ლივანი“. იქნებ უძველეს ხანაში მისი სახელი „ლივანი“ იყო და ტოპონიმი „ნიგალი“ გვიანდელი წარმონაქმნია ფონეტიკურ ნიადაგზე, თანხმოვანთა გადანაცვლების (მეტათეზისის (ბ-გ) შედეგად მიღებული.

„ნიგალის ხეობის თურქული ნაწილი მოქცეულია ბორჩხის, მურღულისა და ართვინის რაიონებში, რომლებიც დღევანდელი თურქეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით მიეკუთვნება ართვინის ვილაიეთს“ (ბერიძე, 2009:9).

ნიგალის სოფლები გაშენებულია მდინარე ჭოროხისა და მისი მრავალრიცხოვანი შენაკადების: მურღულის, ბედლევანის, იჩხალის, ხატილის, ბაგენის, ქლასკურის, დევსკელის, კაბარჯეთის, ბაშქოის, ბერთისწყლისა და კარჩხლისწყლის ხეობებში. ეს სოფლებია: კაბარჯეთი, წყალყა, ყავრიეთი, აგარა, ისკები, მანცული/მანსული, ხახური, ბაგა, გურბინი, ქურა, ბაშქოი, ჩხალეთი, ლომიკეთი, ფოროსეთი, გოგლიეთი, ჭილაგრი, ქორთუკეთი, ქვამჩირეთი, დურჩა, კორიდეთი, ოზმალი, ბუჯური, ხოსროლი, გველი, არხვა, ერეგუნა, ქამილეთი, ჯუანი, დიალეთი, ტრაპენი, კასიმეთი, ქობეკეთი, ადუჩა, ქართლა, ომანა, უზრუმა, ნიგია, თხილაზორი, ავანა, ზელიეთი, ორჯი, დამფლა, ებრიკა, პეტრული, ადაგული, ვალაშენი, ოხორჯი, ბაგენი, ვინტავლი, დევსქელი, ხება, ქლასკური, კატაფხია, ბედლევანი, მურკივეთი, ზედუბანი, არჰავეთი, ახალდაბა, სინკოთი, ჩარბიეთი, კვარჩხანი, ბეშავლი, კირსა, ნეძვი, ოფუჯა, საბავრი, კინცხურეთი, ჭინკური, შუახევი, უკანმერე, ვაზრია, ბანაკნა, ღვია, მარადიდი, ხინწყანა (ფუტკარაძე, 2016:18-19).

ნიგალი ისტორიულად ტაო-კლარჯეთის ერთ-ერთი კულტურულად და ეკონომიურად დაწინაურებული მხარე იყო. მეცხრე-მეათე საუკუნეებში აქ ყვაოდა ქართული კულტურა. ბერთის, ოპიზის, ხანძთის, შატბერდის, ფორთის, კორიდეთის საეკ-

ლესიო-სამონასტრო ცენტრებში იწერებოდა ორიგინალური ნაწარმოებები, უცხოური ენებიდან ითარგმნებოდა ლიტერატურა.

„ლივანური მეტყველება მდიდარია კილოკავებით, თქმებითა და ქცევებით, რასაც კარგად ამჩნევენ თვით აქაური მცხოვრებნიც. საუბრის კილოთი გამოიცილობენ ხოლმე ქლასკურელებს, დევსქელებს, ხებელებს, მარადიდელებს, მურლულელებს“ (ფუტკარაძე, 1995:214).

ჩვენი კვლევს ობიექტს წარმოადგენს ნიგალის ხეობის მკვიდრთა მეტყველებაში უდეტრების ხმარებასთან დაკავშირებული თავისებურებების გამოკვეთა და ანალიზი. საანალიზო მასალად ავიღეთ ნიგალის მეტყველების ნიმუშები (ბერიძე, 2009: 142-170) და ექსპედიციის ფარგლებში ჩვენ მიერ ჩაწერილი ტექტები (მარადიდი, 2020: 799-912).

### **მეთოდები.**

წარმოდგენილი ნაშრომი ეფუძნება კვლევის შემდეგ მეთოდებს: დიალექტური მასალის ლინგვისტური ანალიზი სინქრონიისა და დიაქრონიის ჭრილში, სტრუქტურული ანალიზი, აღწერისა და შედარება-შეპირისპირების მეთოდი, დედუქცია, ინდუქცია, ლექსიკურ-სემანტიკური ანალიზი.

### **მსჯელობა და შედეგები.**

ნიგალის ხეობის ქართულში საინტერესო ნიუანსები შეინიშნება უდეტრების გამოყენების შემთხვევებში.

**ზმნიზედა.** ადგილის ზმნიზედის ფუნქციით გვხვდება -ში' თანდებულიანი პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელების მრავლობითი რიცხვის ფორმები:

ფათათესს (კარტოფილს) **ჩვენში** „ძირი“ ქვია; **თქვენში** ძირსა რას ეტყვიან? (უწოდებენ)...

ადგილის ზმნიზედები ზემოთ', ქვემოთ' გვხვდება ფონეტიკური სახეცვლილებით: ჩვენი სოფელი გურბინი **ზომოთ** არი; **ქომოთ** არი ერთი სახლი...

ხშირად გამოიყენება საშუალო ქართულისთვის დამახასიათებელი შიგან' ზმნიზედის ფუნქციით (შანიძე, 1973:601): თივას ინახვენ **შიგან**; სახლში **შიგან** არ შევსულვართ... შიგან' დამახასიათებელია იმერხეულისთვისაც. იგი 1904 წელს დადასტურებ-

ული აქვს ნ. მარს (მარი, 2012:48), გამოიყენება თანამედროვე იმერხელშიც (ფუტკარაძე, 1993:99).

აქ', იქ' ზმნიზედებს დაერთვის თანდებულები -ში და -ზე, რის საფუძველზეც მიიღება რთულფუძიანი ზმნიზედები: აქში', იქში', აგზე' (← აქზე), იგზე' (← იქზე):

**იქში** ასხმენ ძესა; **აქში** რამე აღარ დარჩა; **აგზე** გააკეთეს სახლი; **იგზე** მეგონა კიდვენ...

მსგავსი ფორმები დამახასიათებელია ზემოაჭარულისა და იმერხელისათვის (ნიჭარაძე, 1975:127). როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, ეს მოვლენა სათავეს იღებს ძველი ქართულიდან, მოგვაგონებს აქაშინა', მუნშინა' ფორმებს (მარტიროსოვი, 1956:218; ნიჭარაძე, 1975:27).

-ზე' თანდებულიანმა ადგილის ზმნიზედებმა **აქ, იქ** შეიძლება დაირთონ თანდებული -**დამ**: **აგზედამ** იწყება (აქზედამ→აგზედამ. პროგრესული ნაწილობრივი ასიმილაცია)... ეს ზმნიზედები გავრცობილ ფუძეზე დაირთავენ -**მდი** (←მდის) თანდებულს, რომლებიც შეიძლება შეგვხვდეს დროის ზმნიზედის ფუნქციითაც: **იქნამდი** (ჩართულია ნ') არ ვუშავთ; **აქნობამდი** მოველით...

ანალოგიურ მაგალითებში თავს იჩენს ორი ა: ჩვენა **აქნობამდი** ყაყლაში (იალაღებზე) ვიყავით... მსგავსი ფორმები - **აქნამდი, იქნამდი, აქნობამდი** დადასტურებულია ქვემოიმერულში, კახურსა და ზემოაჭარულში (კუბლაშვილი, 1986:105; ჩიქობავა, 1937:214 – 217; მარტიროსოვი, 1956:85).

იქაურობაში' ფორმა შეცვლილია სიტყვით იქნობაში': **იქნობაში** ყოფილან; **იქნობაში** ვნახევით...

-კე/-კენ თანდებული ერთვის ზმნიზედების უჩვეულო ფორმებს: **წინესკე** წამოსულა; **ზეისკე** წახვალთ; იმ **ზედეტკენ** გზა მივა; **შიგნითკე** წებვალ, წებვალ და ნახავ...

ზმნიზედების გასართულებლად გამოყენებულია თანდებული -**დამ**:

მოცოცხეთ (მოკურცხლეთ) **აქედამო**; ფაფრიკის **აქეთიდამ** მივა გზა; ძალი (ერბო) მუასხან **ზეიდამ**; **იქიდამ** წყალი მოდის...

კითხვითი **ზმნიზედა** სად' გვხვდება ჰა'ს სახით (ს→ჰ, -დ იკარგება):

ჰა ზიხარ (ცხოვრობ), ბათუმში?...

კითხვით ზმნიზედას სად' შეიძლება დაერთოს -ღა' ნაწილაკი. ეს ნაწილაკი ფუძესთან შეზრდილიც შეიძლება იყოს და შეუზრდელიც. ამასთანავე სად' უცვლელადაა შენარჩუნებული: ახლა **საღღა** არი ძველებური სიღმერები?!; ბათუმ გადასლა მაშინ **საღღა** იყო, ჩეიკლიტა გზა...

დროის ზმნიზედად ზოგჯერ სიტყვათა ოდენ ფუძეა წარმოდგენილი: ყველ **ზაფხულ** თაზეა წასული, ბარში ვერ დგება; **მალ** მოსულიყავ, ბევრ ჩაწერევი, დიდვანები ცოცხალ იყვენ; დილაჲ **მალ** ავდგები, საღამოზე **მალ** დავწვები...

გვხვდება ასეთ ფუძეთა გაორკეცების შემთხვევებიც: **ზაფხულ-ზაფხულ** თაზე სიარულ არ ვიკლებდი; ჩუნსა **მალ-მალ** მოდიოდა; **საღამ-საღამ** მოვდოდა ჩვენსა სალაპარიკოთ...

და' კავშირით ფუძეგაორკეცებული ზმნიზედა ხანდახან' შეიძლება შეგვხვდეს **ხანდებან'** ფორმით:

გაკვითხევდით **ხანდებან'**; **ხანდებან'** რამეს არ იტყოდა...

იმერხეულის მსგავსად, ნიგალურშიაც დასტურდება დროის ზმნიზედის ფუნქციით მასკან' (←მას უკან'): მურკივეთ (მურკივეთი სოფელია), **მასკან'** (მას შემდეგ) მოიდეს ჭანები (მოვიდნენ ჭანები); **მასკან'** არსა წასულა ქალი...

**მასკან'** (მას შემდეგ, იმის შემდეგ) დადასტურებულია სხვა დალექტებშიაც (კუბლაშვილი, 1986:115).

თვლიპირში' (←რთველის პირში) გამოდის დროის ზმნიზედის როლში, რაც, უმთავრესად, შემოდგომის მიწურულს ნიშნავს: **თვლიპირში** ყოჩებსა გავყიდავთ; **თვლიპირში** ქორწილები მთავრდება...

დროის ზმნიზედა მერმე' მეტათეზისის შედეგად სახეს იცვლის და წარმოდგება მემრე' ფორმით: **მემრე** გეტყვი მაგასა; **მემრე** მეგვიტანეს სხუა საჭმელი; ამის **მემრე** არი ბორჩხა...

დროის ზმნიზედად გამოიყენება **აქშამ მალღა**' (თურქ. akşam – საღამო) - გვიან საღამოს, საღამოს შემდეგ: **აქშამ მალღა**



ბასხი მუუცემიან (დაუპატიმრებიათ); აქშამ მაღლა ვახშამი იჭმება (შდრ. ხვალზევით' (შანიძე, 1973:590).

დროის ზმნიზედის შინაარსი აქვს, აგრეთვე, გამოთქმას - მაღალი სადილობა', რომელიც დაახლოებით საათის ორიდან სამამდე დროს აღნიშნავს: თიდან **მაღალსადილობიან** წამოსულა...

დროის ზმნიზედაა **ამეზლამ** (ამალამ' მომდინარეობს ამასლამ' - რთული სიტყვისაგან ფონეტიკური სახეცვლილებით (**ამასლამ**→**ამესლამ**→**ამეზლამ**, ხმოვანთა პროგრესული დისიმილაცია: ა-ა → ა-ე; თანხმოვანთა რეგრესული ასიმილაცია: სდ→ზღ): **ამეზლამ** ჩემთან დარჩით; **ამეზლამ** ბევრი მასკლავი ჩანს; **ამეზლამიდან** იწყობა მარხვა...

**ამეზლამ** დადასტურებულია ზემოაჭარულსა და მის მიმდებარე იმერხეულში (ნიჟარაძე, 1961: 84).

ზმნიზედები - გაისად', მერმის' ფორმებს ცვლის მიორეთ'//მიერეთ', მიერეზე' - დროის ზმნიზედის მნიშვნელობით: **მიერეზე** მინდა ჩამოსლა თქვენთან; ღმერთით, **მიერეთ** გნახავთ კიდევნ...

დიდხანს' ზმნიზედას ენაცვლება ბარსახან (←ბარე სამ ხან): **ბარსახან** აქ იყო; **ბარსახან** ამფრა ამბობდა...

ბოლოს' დროის ზმნიზედას ნაკლებად იყენებენ. მის მაგივრად გვხვდება უკანიხან'//უკანდიხან': **უკანიხან** გადმეიყვანეს ჩუენსა; **უკანდიხან** სულ ველარ დადგა ფეხზე...

ამასობაში', ამ ხანში', ამ დროს' ზმნიზედების მნიშვნელობით გამოიყენება უჩვეულო ფორმები - მარობაში', მახანში', მახანთი': **მარობაში** მისი მმაც გამოჩნდა; **მახანში** ხმა გავარდა, მოკლეს კაციო; **მახანთი** ისაც მოიდა...

**ვითარების ზმნიზედების** - ამაოდ', ტყუილუბრალოდ' - შინაარსს გადმოსცემს არქაული სიტყვა ცუდედ': **ცუდედ** მე ნუ მიყურავ; **ცუდედ** დუურჩა ყველამფერი... (შდრ. ძვ. ქ. ცუდად' - ამაოდ, უსარგებლოდ, აგრეთვე ცუდედ' - საბა).

ვითარების ზმნიზედაა იმფოსერთი'. იგი გამოიყენება უმეტესად', უმთავრესად' სიტყვების მაგივრად: ამასა **იმფოსერთი** ჟავე საჭმელები უყვარს...

-**ებრ** თანდებულისან ვითარებითს ზმნიზედებში ფუძის ბოლოკიდური -**რ** იკარგება: **მათურებ** დავცინევდდით...

-**ვით** თანდებულისან ფორმებში -**ვით** სახეცვლილი წარმოგვიდგება: **ჩემსავენ, ჩვენსავენ, თქვენსავენ, მათსავენ** (**ჩვენს-ს-ა-ვით→ჩვენს-ს-ა-ვენ**):

**ჩვენსავენ** არ ლაპარიკობთ თქვენა, გადაქცევა თქვენი ენა; **თქვენსავენ** ვაკეთავთ ძველ საჭმელებსა; **მათსავენ** არვინ იცის ესა...

ვითარების ზმნიზედის შინაარსი ახლავს სიტყვას **აქსავენ'** //**აქსავეთ'** (ა-ქ-ა-ს-ა-ვით→ა-ქ-ა-ს-ა-ვეთ // ა-ქ-ა-ს-ა-ვენ): **აქსავეთ** მან იძახის; **აქსავენ** არი იმ სოფელშიც... **აქსავეთ'** // **აქსავენ/-ნი**შნავს **აქაურსავით**.

კითხვით ზმნიზედას როგორ' ცვლის **რავლი'** ფორმა: **რავლი** ხარა? **რავლი** მოხუელით? **რავლი** ხართა ჩვენებურები?!...

ჯერობის გამომხატველი ზმნიზედების მაწარმოებელ ნაწილაკ ჯერ'-ს ცვლის სიტყვა პირი'. იგი რიცხვით სახელებს დაერთვის: **ორპირ, ერთპირ, ათპირ**...

ზოგან **ორპირ** იჯებთან გათოხნასა; ჩვენა **ერთპირ** ვაკეთავთ; **ათპირ** ვუთხარი იმათა...

ნიგალურ ქართულში თავისებური ელფერი შემოაქვს მდინარე მურღულის ხეობის კალთებზე გაშენებული სოფლების (კაბარჯეთი, ყავრიეთი, ჭილაფრი, ქურა, ჯუანი, ბუჯური, ბაშქოი, არხვა, კორიდეთი, მანცული, გურბინი...) მეტყველებას. ეს შეინიშნება ზმნიზედათა წარმოებაშიც. კერძოდ: ერთად' ზმნიზედის ნაცვლად გამოიყენება **ერთხელად'**: ჩემ მაზლის უკან **ერთხელად** საქმობენ; **ერთხელად** გაზდილი ვართ; არ დაწვენ **ერთხელად**; ისტამბოლ წევდენ **ერთხელად**...

-ურთ' თანდებულისანი სიტყვის შინაარსს, ერთად ყოფნას, გადმოგვცემს უკან' ზმნიზედა: **ვის უკან** (ვისთან ერთად) მოხველ? **ქალების უკან** მოსულა; **ძმის უკან** ვიარები; **ნენეს უკან** წასულა; ჩემ **ცოლის უკან** მის ბაბოს სახლში მივალ; საჭმელი ვჭამდით ჩემ **ხალაშვილების უკან**...

ზმნიზედების სფეროში იშვითად წარმოჩნდება ხოლმე თურქულის გზით შემოსული ფორმები: **თექთუქ, ბაშთან, ბირზ-**

ამან, ებბედი, ზაათი, თექრარ, ჰემენ, დუნიადა, სოვნი, აზბიში, გერჩექ, მესხუზ // მახსუზ, ყარშიბერ, ჰალა, ბოშუნა, ექსერი, ევადი... : თექთუქ გამოჩინდება თოვლში მიწა (tek-tek - აქა-იქ); ზაშთან ასე იცოდენ ჩვენ ძველებმა (baştan - თავიდან, ადრე); ბირზამან ავადველი იარებოდა (bir zaman - ერთხანს, რამდენიმე ხანს); ებედი არ წავსულვარ ისტანბულ (არაბ. ebedien - მუღამ, მარად, ყოველთვის. აქ, არასდროს); ზაათი ამგრა იყო საქმე (არაბ. zaten - საერთოდ); თექრარ დეიწყენ ამაზე ლაპარაკი (არაბ. tekrar - განმეორებით, კიდევ); ჰემენ გამეიქვენ ჩემკე (სპარს. hemen - მაშინვე, დაუყოვნებლივ); დუნიადა რენგი არ გუშუშვებს (mümkün değil - არასდროს, არავითარ შემთხვევაში); სოვნი გათავდა ეს საქმეც (son-ბოლო, დასასრული); აზბიში ეტყობოდა მუცელი (az birşey - ოდნავ, ცოტათი); გერჩექ იქნა ეს საქმე სოფელში (gerçek - ნამდვილად); მესხუზ ქნეს ეს სიგონჯე (არაბ. mahsuz - სპეციალურად, განზრახ); ყარბიშერ დადგებოდენ მოლექსიები (karşiberi - მოპირდაპირე, პირისპირ); ჰალა იქ არი ნათესავებში (არაბ. Hala - ჯერ კიდევ, აქამდე); ბოშუნა დავრჩით ისტანბულ ჩასული (başuna - ამაოდ, ტყუილუბრალოდ); ექსერი სომეხები არიან იმ სოფლებში (არაბ. Esker - უმეტესად); ანჯაქ მეღირსენ ჩემიანების ნახვა (ancak - ძლივს; მხოლოდ).

**თანდებული.** დიალექტური ელფერი დაჰკრავს თანდებულებსაც. კერძოდ, -ვით თანდებული გვაძლევს -ვენ, -ვით, -ვეფ ვარიანტებს: ჩვენც თქვენსავით ვიცით ქართული ლაპარაკი; დიდვანი დილიმები იყვენ ქვასავენ; ამასა მოხარშავ ბრინჯსავენ; ტურასავეფ ევბენ იმ კაპანში...

მსგავსი ვარიანტები დადასტურებულია ქართული ენის სხვა დიალექტებშიც (კუბლაშვილი, 1986:103; ნიჟარაძე, 1975:129; ძოწენიძე, 1973:80).

მიცემით ბრუნვაში -ში თანდებულთან ერთად გვაქვს არქაული შიგან: ერბოს შიგან (ერბოში) ხახვ დაწვავ...

იგი შეიძლება დაერთოს ნათესაობითის ფორმასაც: უწინ მეგემ (თურმე) ტბის შიგან მოზვერი ყოფილა... არის შემთხვევები, როცა -ში თანდებულთან მიცემითის შინაარსს აძლ-

იერებს შიგან//შიან: სიტყვებ ფესვში უნა ჩახედო შიგან; მოკდა კაცი ჩაკაში შიგან...

-თვის თანდებული წარმოდგენილია -თვინ // -თინ ვარია-ნტებით:

ერთ გოგოსთვინ უთქვია; ბაქლავასთინ სხვა წყალი უნდა; ხორცი შიგანასთვინ კაი არაა; ერთიც თურქიესთინ გამუ-უგზავნია...

მარადიდულ კლარჯულში მსგავსი ფორმების გვერდით დასტურდება თვინ//თინ//ზა: შვილიშვილიზა ჰა მეცალენ, რომ დეგემინა, ყანა თხრიზა; ყველაფერიზა იცოდეს, ქითაბიზა დაჭირდება (ზემო მარადიდი) (მარადიდი, 2020:595)...

-კენ თანდებული უმთავრესად -კე ფორმით გვხვდება:

თქვენკე ვიყურებით სულა; ეგ სოფელი ბორჩხისკე არი; ხიდისკე წესულან...

-კე გვხვდება ზმნიზედებთანაც: უკნისკე იყურებიან სულა, წინისკე უნდა გეიხედოს კაცმა...

გულობაი, ბარობაი' გამოთქმები ხშირად ენაცვლება მაგივრად', ნაცვლად' თანდებულებს: ბაბას გულობაი შვილი დეიჭირეს; თქვენ ბარზე მუელით აქა...

ასევე ახლავს -თვის' თანდებულის შინაარსიც: გემრიელი იყოსო, იმის გულობაი ჩაყარე შიან...

ნათესაობითის ფორმას დაერთვის ზმნიზედა უკან და გამოხატავს თანაობას, -თან' (ერთად) თანდებულის ფუნქციით წარმოდგება: გადნობილ ერბოსა პურის უკან, ჭადის უკან ვჭამთა (პურით, მჭადით; პურთან ერთად, მჭადთან ერთად); სომხების უკან ერთნაირათ ლაპარაკობენ ჰემშილები; საქმელი ვჭამდით ჩემ ხალაშვილების უკან... ეფეი ვილაპარაკეთ გურჯების უკან; ჩემ მაზლის უკან საქმობენ...

თანდებული -ურთ ნიგალის ქართულმა არ იცის, ისევე როგორც აჭარულმა და იმერხეულმა. -ურთ თანდებულიან მოქმედებითს ცვლის -იან სუფიქსიანი ვითარებითი, ოღონდ ბრუნვის ნიშნად მხოლოდ -ა' ხმოვანია წარმოდგენილი:

მოსკდა თა და **სოფლებიანა** წამეილო ხრამში; წვანილი **ბალახებიანა** ჩაყარა კოვამი (ვედროში); ცხვრის ტყავი **გულ-ღვიძლიანა** შეეჭამეს ძაღლებსა...

-**დამ** (**დაღმა**//**დაღმე**) თანდებული გვხვდება თითქმის უგამონაკლისოდ, ისე, როგორც საერთოდ კლარჯულში: ამასა **ხიდიდამ** გუდუჟყურია ისენი; ჩვენა ერთი **სახლიდამ** დევპანტევით; ჩვენი ადგილი **ჰუდუდიდამ** (საზღვრიდან) შორ არ არი; **თქვენიდამ** გადმოდინა ქალები; მე სოფელ **ბაგენიდამ** ვარა; ამის **ლაშიდამ** ბევრ რამეს ვერ გამეიდებ; ჩვენა **სხვაგენიდამ** მოსული არა ვართა; ხაჭო ფურის **ნაწველიდამ** კეთდება... ასევე შავშურში, აჭარულში, ტაოურში, მთელ სამხრულ მეტყველებაში და ქართული ენის მრავალ დიალექტში (ფაღავა, 2011:235-241).

არ გვხვდება -მდე' თანდებული. ნიგალის ქართულისთვის დამახასიათებელია -მდი' და -მდინ' ვარიანტები: **სოფლამდი** ველარ მისულა; ორი დღე უვლია და **ქალაქამდინ** ძვილაჲ ჩასულა...

**კავშირი.** რომ' კავშირი უმეტესად გვხვდება რომე' ფორმით: გაღმა თა **რომე** ჩანს, ისა ბოგნარია; ხოჯამ (მასწავლებელმა) **რომე** ჭაკვა (მარცხენა) თერეფ (მხარეს) მასწავლა, მე მარჯვენა თერეფ წაველი; ჰუდუდი (საზღვარი) **რომე** გეილო, ჩვენთვინაც კაია; ბათუმ **რომე** გადმუალთ, არ მექნებიან დერდი...

**მაგრამ'** გამარტივებულია მარა' ფორმით: ისტამბოლ მოსულხართ, **მარა** ბორჩხას აღარა; გეტყვი, **მარა** გეწყინებიან; ძუელათ ხალხი ფუხარა იყუნ, **მარა** გული ზენგინი ქონდენ; მოვლენ აქა, **მარა** წასლას აღარ მეიწადინებენ; დემინახეს, მარა ვერ მემეწიეს...

მაგრამ' მაპირისპირებელ კავშირს ხშირად ცვლის თურქულიდან შემოსული ჰამა' (არაბ. hama): მინდანან გადმოსლა, **ჰამა** ყაშლი (მოხუცი) ვარ და მეშინია; **ჰამა** თუ უნდა წახვიდეთ, ჰაცხა გინდა წადითო...

მაცალკევებელი კავშირი ან-ან' თითქმის აღარ გამოიყენება. იგი შეუცვლია თურქულ კავშირს ყა-ს (ყა):

ამასა **ყა** ხარით გავლენავთ, **ყა** ცხენით; **ყა** შენ იყვირე, **ყა** მე ვიყვირებ; **ყა** ისინი უნდა წევდენ აქედან, **ყადა** ჩვენ უნდა წევდეთო...

თუნდ', გინდ' მაცალკევებელი კავშირების ნაცვლად გამოიყენება თურქული ისტარ' (ister): ისტარ რუსიეს წაი, ისტარ ალმანიეს წაი; ისტარ თქვი; ისტარ ნუ იტყვი...

რომ' მაქვემდებარებელი კავშირის ნაცვლად გამოიყენება თურქულის გზით შემოსული სპარსული წარმოშობის კავშირი ქი', რომელსაც მრავალნაირი ნიუანსი (კი - რომ, რომელი, რათა, ვინაიდან, ხოლო, განა) ახლავს:

ჰუდუდი ქი ჩუუჭრიან, გარიგებულან ძმიებიც, ერთი იქით დარჩენილა, ერთი - აქეთ; სქულში ქი იარებიან ბალები, ავიწყდებიან გურჯიჯა... ხალხი ფეხზე ადგენ, ეხვეწენ, ქი შერიგდითო: ერთი შევხედე, ქი გზაზე ხუთი - ექსი კაცი დაჟდომილა; ჩემ ცოლ ვუთხარ, ქი შენ წორეთ სახლში წადი-მეთქი; მე ქი მეკვლა, შენ უკნისკე ნუ მიეხედავ-მეთქი...

დროულობის შინაარსის გამოსახატავად გამოიყენება თურქული მი', რომელიც ხან უარყოფის გამომხატველი ნაწილაკია, ხანაც კავშირის ფუნქციით წარმოჩნდება ხოლმე და უახლოვდება როცა', თუ არა, რაწამს', როგორც კი' კავშირებს:

ძეს შედგამ მი ცეცხლზე, გამეიჭრება, ყველი გახდება; ქინძი ბოსტანში გაჩნდა მი, იქ აღარ შევალ; შვებულება მექნება მი, წამულ გურჯისტანში...

**ნაწილაკი.** ნიგალის ქართულში დღესაც ცოცხალია კითხვითი ნაწილაკი ა', რომელიც ძველ ქართულში იხმარებოდა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წინადადებაში არ იყო კითხვის გამომხატველი სიტყვა (ვინ, რა, რომელი, სადა, ოდეს და სხვ.). იგი ერთოდა ყოველგვარ სიტყვას (სახელს, ზმნას, უდეტერს), უმეტესად მაინც ზმნას (შანიძე, 1973, 608). ნიგალის ქართულში კითხვითი ა' იშვიათად გვხვდება კითხვითსიტყვიან წინადადებაშიც.

ნიგალის ხეობის ქართულში კითხვითი ნაწილაკის სიცოცხლისუნარიანობა განპირობებულია მახვილით. ა' კითხვით ნაწილაკზე მოდის ყოველთვის კითხვითი წინადადების მახვილი. შენ აქა ხარა?; ტანზე რასა ვიცვამთა?!; ვის კითხულობ, მეა თუ?; დღეს ქორწილი არია?!; შენა ვისი გოგო ხარა?...

დიალექტთაგან კითხვითი ნაწილაკი ა' დასტურდება როგორც კლარჯულში (კლარჯეთი, 2016:568), ტაოურსა (ტაო, 2020: 758) და შავშურშიც (შავშეთი, 2011:103-104), იშვიათად აჭარელ მუჭაჯირთა მეტყველებაში. ის დღესაც მოქმედი ნაწილაკია ქართული ენის მთის კილოებსა (შანიძე, 1973:608) და სვანურ ენაში. ჩანს, რომ კითხვითი ა' საერთოქართველური კუთვნილებაა (ფაღავა, 2011:29-39).

თურმე'-ს ცვლის თურქულის გზით შემოსული სპარსული ნაწილაკი მეგერ' (სპარს. meger - თურმე): **მეგერ** უწინ კლდის შიგან მაღარა იყო... **მეგერ** გვხვდება **მეგემ** ფორმითაც: გზაში ერთი ხოჯა ნავხე, **მეგემ** ქრისტიანი გურჯი იყო; მე ისტანბულ გასული მეგონა, **მეგემ** აქ არი გაწოლილი...

კლარჯულ მეტყველებაში საერთოდ, მათ შორის ნიგალურშიც, გამოიყენება თურქული წარმოშობის ნაწილაკი ართუხ // ართიქ (artik- აი, უკვე; აი, ახლა):

**ართუხ**, გუუწორებდით ლაპარაკსა; დეინახეს, რომე **ართუხ** მოდის დათვი...

უნდა' ზმნის პირიანი ფორმა, აჭარულისა და იმერხეულის მსგავსად, ნაწილაკად არის ქცეული. იგი გვხვდება უნდა', ნდა', ნა', და' ვარიანტების სახით. უნა' წინადადებაში ცალკე დგას დანარჩენები კი ენკლიტიკად არიან ქცეულნი და გაბმულ მეტყველებაში წინ მდგომ სიტყვასთანაა შერწყმული:

თხუთმეტი დღე **უნა** დავრჩეთაო, ვუთხარით იმათა; **ბათუმნა** ვუყურო შორიდანა; **ბათუმიდა** მევარო წრეველაი; ძე აადულა, **მაწონიდა** შააყენოს ქალმა...

ნეტავი', იქნებ' ნაწილაკების მნიშვნელობით გამოყენებულია თურქულიდან შემოსული სიტყვა ქეშკე (სპარს. keşke - ნეტავი, ეგებ, იქნებ), რომელიც უმეტესად ქეშკამ' ფორმით გვხვდება: **ქეშკამ** მას-ემდეს წყალსა; **ქეშკამ** მოსულიყო ბორჩხას...

თურქულიდან შემოსული **აჯაბ'** (არაბ. acap) გამოიყენება ნეტავი', ნუთუ', მართლა', განა' ნაწილაკების მნიშვნელობით: **აჯაბა** ჩვენი ვინ არიან იმათში?; **აჯაბ** მოვდენ სალამოზე?...

ნიგალის ქართულში გვხვდება ნაწილაკი დია // დიე' (შდრ. საბა **დია** - დიად, დიამც"): თურქე კაი დეილაპარიკოს **დიე**,

გურჯიჯას აღარ ველაპარიკვებით ბაღღებსა; კიდვენ მეიტანოს დიე, ამათხე რამე აღარ ვთქვი...

### **დასკვნა.**

ამრიგად, ნიგალის ხეობის მკვიდრთა მეტყველებაში უდეტრების ხმარებასთან დაკავშირებით გამოვლენილ თავისებურებათა დიდი ნაწილი ფონეტიკური ფაქტორითაა განპირობებული, ნაწილი თურქული ენის გავლენით და ნაწილშიც ჩანს არქაული კვალი.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

- ბერიძე, ე. (2009). *ნიგალი, ისტორიულ-ეთნოლოგიური და ლინგვისტური (ტოპონიმიკური) ასპექტები*, თბილისი.
- კუბლაშვილი, კ. (1986). *ქართული ენის ქვემოთმერული დიალექტი*, თბილისი.
- მარტიროსოვი, არ. (1946). *თანდებული ქართულში*, იკე, I, თბილისი.
- მარტიროსოვი, არ. (1956). *ქართული ენის კახური დიალექტი*, თბილისი.
- ნიჟარაძე, შ. (1975). *ქართული ენის აჭარული დიალექტი*, ბათუმი.
- ნიჟარაძე, შ. (1961). *ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი*, ბათუმი.
- ფაღავა, მ. (2011). *თანდებული შავშურში*, ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები, ტ. III, თბილისი.
- ფუტყარაძე, შ. (1993). *ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების მიხედვით*, თბილისი.
- ფუტყარაძე, შ. (1995). *ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებები ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების მიხედვით*, სადისერტაციო მაცნე, თბილისი.



- ფუტკარაძე, შ. (2016). *ჩვენებურების ქართული*, წიგნი მეორე, ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების ლინგვისტური ანალიზი. თბილისი.
- შანიძე, ა. (1973). *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები*, I, თბილისი.
- ჩიქობავა, არნ. (1937). *ერთი უცნობი თანდებული ახალ ქართულში*, ენიშკის მოამბე, ტ. I, თბილისი.
- ძოწენიძე, ქ. (1973). *ზემოიმერული კილოკავი*, თბილისი.
- მარი, ნ. (2012). *შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები*, რუსულიდან თარგმნა რევაზ დიასამიძემ. ბათუმი.
- ფალავა, მ., ცინცაძე, მ., ბარამიძე, მ., ჩოხარაძე, მ., შიოშვილი, თ., ხალვაში, რ., მგელაძე, ნ., შაშიკაძე, ზ., ხალვაში, მ., ჩხვიმიანი, ჯ., კარალიძე, ჯ. (2020). „*ტაო*“. თბილისი.
- ჩოხარაძე, მ., შიოშვილი, თ., ფალავა, მ., ფარტენაძე, ნ., შაშიკაძე, ზ., ბარამიძე, რ., ჩოხარაძე, თ. (2020). „*მარადიდი*“. თბილისი.
- ფალავა, მ., ცინცაძე, მ., ბარამიძე, მ., ჩოხარაძე, მ., შიოშვილი, თ., მამულაძე, შ., ხალვაში, რ., მგელაძე, ნ., შაშიკაძე, ზ., კარალიძე, ჯ. (2016). „*კლარჯეთი*“. თბილისი.
- ფალავა, მ., შიოშვილი, თ., მამულაძე, შ., ცინცაძე, მ., ჩოხარაძე, მ., შაშიკაძე, ზ., ცეცხლაძე, ნუგზარ, ფუტკარაძე, თ., ბარამიძე, მ., კარალიძე, ჯ., ჩოხარაძე, ვ. (2011). „*შავშეთი*“. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ინსტიტუტი, მონოგრაფია, თბილისი.

## REFERENCES:

- Beridze, E. (2009). *Nigali. Istoriul-Etnografiuli da lingvisturi (T'op'animikuri) Aspek'tebi*. Tbilisi.
- K'ublashvili, K'. (1986). *Kartuli Enis Kvemoimeruli Dialekt'i*. Tbilisi.
- Martirosovi, Ar. (1946). *Tandebuli kartulshi*. Ik'e, I, Tbilisi.
- Martirosovi, Ar. (1956). *Kartuli Enis Kakhuri Dialekt'i*. Tbilisi.
- Nizharadze, Sh. (1975). *Kartuli Enis Ach'aruli Dialekt'i*. Batumi.

- Nizharadze, Sh. (1961). *Kartuli Enis Zemoacharuli Dialekt'i*. Batumi.
- Faghava, M. (2011). *Tandebuli Shavshurshi*. lingvist'uri Kartvelologiisa da Afkhazologiis P'roblemebi. T. III, Tbilisi.
- Put'k'aradze, Sh. (1993). *Kartuli Enis Samkhrul-Dasavluri Dialektebis Taviseburebani Istoriuli Tao-Klarjetisa da Mukhajiri Kartvelebis Metqvelebis Mikhedvit*. Tbilisi.
- Put'k'aradze, Sh. (1995). *Kartuli Enis Samkhrul-Dasavluri Dialektebis Taviseburebani Istoriuli Tao-Klarjetisa da Mukhajiri Kartvelebis Metqvelebis Mikhedvit*. Sadisert'acio Matsne. Tbilisi.
- Put'k'aradze, Sh. (2016). *Chveneburebis Kartuli*. Tsigni Meore, Istoriuli Tao-Klarjetisa da Muhajiri Kartvelebis Metqvelebis lingvist'uri analizi. Tbilisi.
- Shanidze, A. (1973). *Kartuli Enis Gramat'ikis Sapudzvlebi*, I, Tbilisi.
- Chikobava, Arn. (1937). *Erti Utsnobi Tandebuli Akhal Kartulshi*. Enimkis Moambe. T. I, Tbilisi.
- Dzotsenidze, K. (1973). *Zemoimeruli Kilokavi*. Tbilisi.
- Mari, N. (2012). *Shavshetsa da Klarjetshi Mogzaurobis Dghiurebi*. Rusulidan Targmna Revaz Diasamidzem. Batumi;
- Paghava, M., Tsintsadze, M., Baramidze, M., Chokharadze, M., Shioshvili, T., Khalvashi, R., Mgeladze, N., Shashikadze, Z., Khalvashi, M., Chkhvimiani, J., Karalidze, J. (2020). „*TAO*“. Tbilisi.
- Chokharadze, M., Shioshvili, T., Paghava, M., Phartenadze, N., Shashikadze, Z., Baramidze, R., Chokharadze, T. (2020). „*MARADIDI*“. Tbilisi.
- Paghava M., Tsintsadze M., Baramidze M., Chokharadze M., Shioshvili T., Mamuladze Sh., Khalvashi R., Mgeladze N., Shashikadze Z., Karalidze J. (2016). „*KLARJETI*“. Tbilisi.
- Paghava, M., Shioshvili, T., Mamuladze, Sh., Tsintsadze, M., Chokharadze, M., Shashikadze, Z., Tsetskhladze, Nugzar, Put'k'aradze, T., Baramidze, M., Karalidze J., Chokharadze, V. (2011). „*SHAVSHETI*“. Batumis Shota Rustavelis Sakhelmts'ifo Universt'et'is Kartvelologiis Inst'it'ut'i. Monograpia. Tbilisi.

## Udetrebi in the speech of the Georgian inhabitants of one of the valleys in Turkey

**Natela Phartenadze**

Assoc. Professor

Department of Georgian Philology,

Batumi Shota Rustaveli State University

Georgia, 6010. Batumi, Ninoshvili st. 32/35

+995 577 179 744. natia.phartenadze@bsu.edu.ge

ORCID identifieris0000-0001-7919-8635

### **Abstract.**

In Georgian historiography, one of the districts of Klarjeti – „**Nigali**” can be found under different names, particularly: Ligani, Livana, Nigali. Historically, Nigali was one of the culturally and economically developed parts of Tao-Klarjeti. Georgian culture flourished here in the 9th-10th centuries. The monastic centers of Berti, Opiza, Khandzta, Shatberdi, Forti, Korideti keep written original works, as well as the literature translated from foreign languages.

Lebanese speech is rich in dialects, sayings and proverbs, which are well noticed even by the locals themselves. People from Claskuri, Deveshkeli, Hebeli, Maradidi, Murguli can be guessed by their special dialect.

The purpose of our study is to outline and analyze the features associated with the use of udetrebi (in Georgian grammar, it is a united term for adverb, postposition, conjunction, particle and interjection) in the speech of the inhabitants of the Nigali valley.

Interesting nuances can be observed in the udetrebi of the Georgian language, which is spoken by the inhabitants of the Nigali Valley.

Having a function of an adverb of place, there are plural forms of first and second person pronouns with ending -ში: **ჩვენში; თქვენში**.

Adverbs of place “ზემოთ” (above), “ქვემოთ” (below) occur with phonetic changes: **ზომოთ; ქომოთ...**

The word შიგან is often used with the function of an adverb typical of the Georgian language: **სახლში შიგან არ შევსულვართ..**

Adverbs აქ, იქ have the endings -ში and -ზე (functioning as prepositions), on the basis of which complex-root adverbs are obtained: **აქში, იქში, აგზე' (← აქზე), იგზე (← იქზე)**.

Adverbs of place აქ, იქ ending in -ზე' can also add the suffix -დამ: **აგზედამ, იქნამდი...**

In similar examples, two letters ა appear: **აქნობამდი...**

The form **იქაურობაში'** is replaced by the word **იქნობაში'**.

The endings -კე// -კენ are added to unusual adverb forms: **წინესკე, ზეისკე, ზედეთკენ, შიგნით კე...**

To complicate adverbs, the ending -დამ' is used: **ზეიდამ; იქიდამ...**

The interrogative adverb **სად'** occurs in the form **ჰა' (ს→ჰ, -დ იკარგება)**.

As an adverb of time, there are sometimes cases of doubling the stems: **ზაფხულ, მალ... ზაფხულ-ზაფხულ მალ-მალ; საღამ-საღამ...**

As a result of metathesis, the adverb of time **მერმე'** has changed its form and is presented in the form **მემრე'**.

Adverbs **გაისად', მერმის'** changed their forms into **მიორეთ // მიერეთ', მიერეზე'** with the meaning of the adverb of time ...

The adverb **დიდხანს'** changed into **ბარსახან (← ბარე სამ ხან)**.

The meaning of the adverbs of circumstance **ამაოდ', ტყუილუბრალოდ'** is conveyed by an archaic word **ცუდედ** (comp. old Georgian **ცუდად'** - **ამაოდ, უსარგებლოდ**).

The suffix -რ is lost in the circumstantial adverbs ending with -ებრ: **მათურებ...**

The forms with ending -ვით are changed into -ვენ: ჩემსავენ, ჩვენსავენ, თქვენსავენ, მათსავენ (ჩვენ-ს-ა-ვით→ჩვენ-ს-ა-ვენ):

The word აქსავენ' //აქსავეთ' has the meaning of the circumstantial adverb.

The question adverb როგორ'(how) is replaced by the form რავლი': რავლი ხარა? რავლი მოხუელით? რავლი ხართა ჩვენ-ბურები?!...

Adverbs denoting the number of times with the particle ჯერ' are replaced by the word პირი'. They are attached to a numeral: ორპირ, ერთპირ, ათპირ...

The speech of the inhabitants of the villages (Kabarjeti, Kavrieti, Chilavri, Kura, Zhuani, Buzhuri, Bashkoi, Arkhva, Korideti, Dzantsuli, Gurbini...) built on the slopes of the Murguli river valley gives a special flavor to the Nigali Georgian dialect. This is also observed in the formation of adverbs. Namely, instead of the adverb ერთად', ერთხელად' is used.

Among the adverbs, the forms introduced through the Turkish language rarely appear: თექთუქ (tek-tek), ბაშთან (baştan), ბირზამან (bir zaman), ებბელი (არაბ.ebedien) ზაათი (არაბ. zaten), თექრარ (არაბ. Tekrar), ჰემენ (სპარს. Hemen), აზბიშეი (az birşey)...

Dialectical coloring is also given to suffixes that play the role of prepositions. In particular, the suffix -ვით gives variants with -ვენ, -ვეთ, -ვეფ: თქვენსავეთ, ქვასავენ, ტურასავეფ...

The suffix -თვის is presented by variants -თვინ // -თინ: გოგოსთვინ, ბაქლავასთინ...

The suffix -ვენ can be found in the form of -კე: თქვენკე, ბორჩხისკე არი; ხიდისკე წესულან...

The suffix -კე is met in the adverbs as well: უკნისკე, წინისკე...

The adverb უკან is added to the words in Genitive case and expresses unity; it has a function of the suffix -თან' (together): პურის უკან, ჭადის უკან, გურჯების უკან...

The suffix -მდე' is not found in the speech of the Nigali Georgian. There are -მდი' and -მდინ' options: სოფლამდი, ქალაქამდინ...

**The conjunction.** The conjunction რომ' is mostly found in the form of რომე'.

A simplified form of მაგრამ' is მარა'.

The oppositional conjunction მაგრამ' is often replaced by the Turkish borrowing ჰამა'.

Instead of the subordinating conjunction რომ', there is used ქი', the conjunction of Persian origin, introduced through Turkish and accompanied by many nuances (კი - რომ, რომელი, რათა, ვინაიდან, ხოლო, განა).

**The particle.** The vitality of the interrogative particle in the Nigali Georgian language is determined by stress. In an interrogative sentence, the stress is always on the interrogative particle ა': შენ აქა ხარა?; ტანზე რასა ვიცვამთა?!; შენა ვისი გოგო ხარა?...

თურმე' is replaced by the particle მეგერ' of Persian origin, introduced through Turkish.

The Turkish borrowing აჯაბ' (Arab. acap) is used in the meaning of ნეტავი', ნუთუ', მართლა', განა' (really).

**Keywords:** Dialect; Adjectives; Adverbs; Conjunctions; Conjunctions; Particles.